

საქართველოს სოც.



საბჭ. რეპუბლიკის

შუზათა და გლობათა მთავრობის

კანონის და განკარგულებათა პრეზილი

სახალხო კომისართა საბჭოს და მკონისაუბის საბჭოს
სამმათა მთავრობის გამოცემა

1935 წ. პრეზილი 10.

№ 9

ტექსტი.

შ ი ნ ი ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება.

ვაჭრობა. მომარაგება.

ზოგიერთ რაიონში ახალი სასოფლო ების დაარსებისა და აღმინისტრატიულ-ტრორისტური გადაჯდულების შესახებ.

შესა, ტუ, წყალი, სოფლის მეურნეობა.

5. 1935 წელს რამის კონტრაქტაციის ფერ-და რამის პლანტაციების და სანერგების მიების ღონისძიებათა შესახებ კომისურნეობის.

47. საქართველოს სსრ-ში ვაჭრობის მთლიანი აღწერის ჩატარების შესახებ.

48. კოლმეურნეობათა, კოლმეურნეობათა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობათათვეის თაბაჯის თავისუფალი გაყიდვის ნებართვის მიცემის შესახებ.

49. 1935 წელს სახელმწიფოსაოვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

45. დადგენილება ც. ა. პ.

012.6

ზოგიერთ რაიონში ახალი სასოფლო ხაბჭოების დაარსებისა და აღმინისტრატიულ-ტრორიტორიონიალური გადაჯდულების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმისარულებელი კომიტეტი კვენს:

დაარსებულ იქნას შემდეგი ახალი სასოფლო ხაბჭოები და მოხდეს შე-სრული აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური გადაჯდულება ქვემოაღნიშნულ რაი-ობში:

ტფილისის რაიონში.

ცერებრული
გადასახლებელი

გამოეყოს მუხრანის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქსოვრისი, დაწვალა და ახალი ნემცები, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქსოვრისში.

გურჯაანის რაიონში.

გამოეყოს ჩალაუბნის სასოფლო საბჭოს სოფელი შელაანი, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო.

ლაგოდეხის რაიონში.

გამოეყოს აფენის სასოფლო საბჭოს სოფლები: გიორგეთი, ლაფნიანი, ფიჩის ბოგირი და ვერხეის მინდორი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გიორგეთში.

წალკის რაიონში.

1) გამოეყოს წალკის სასოფლო საბჭოს სოფლები: ახალიქი და ნეონნარაბა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ახალიქში;

2) გამოეყოს წალკის სასოფლო საბჭოს სოფელი ხარიქი და ბეჭთაშენის სასოფლო საბჭოს სოფლები სანამერი და შიპიაკი, და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სანამერში;

3) გამოეყოს გუნია-ყალის სასოფლო საბჭოს სოფლები: წინ-წყარო, და რაექი და სანტა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ წინ-წყაროში;

4) გამოეყოს კუშჩის სასოფლო საბჭოს სოფლები: ოზნი, ყიზილ-ქილისა და ბურნაშეთი და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ ოზნაში;

5) გამოეყოს კუშჩის სასოფლო საბჭოს სოფლები: იაზმა, ელდი-ქილისა და ნარდევანი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ იაზმაში.

კასპის რაიონი.

1) გამოეყოს წითელქალაქის სასოფლო საბჭოს სოფლები: ერთაშმინდა და ცხავერი, და დაარსდეს ერთაშმინდის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ერთაშმინდაში;

2) გამოეყოს ლამისყანის სასოფლო საბჭოს სოფლები: ოკაში და თემი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ოკაშში.

გორის რაიონში.

1) გამოეყოს ტყეიავის სასოფლო საბჭოს სოფლები: ძევერა, ქიშნისი, შერთული და ქიშნისის საბჭოთა მეურნეობა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ძევერაში;

2) გამოეყოს მეჯვრის ხევის სასოფლო საბჭოს სოფლები: ახალ-უზანში, და ახვი და შემლაანთ-ქარი, ხოლო ქვეშის სასოფლო საბჭოს სოფლები: ახრისი და ჯარიაშენი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით ახალ-უბანში.

ხაშურის რაიონში.

1) გამოეყოს ღუდის სასოფლო საბჭოს სოფელი სარტყელა, რომელიც შეუერთდეს ღართის სასოფლო საბჭოს;

2) გამოეყოს გვერძინეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: აბუხალო, ტყემლოვანი, შუანო, მუნილეთი, ლოშკინეთი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მუხილეთში;

3) გამოეყოს წრომის სასოფლო საბჭოს სოფლები: ახალ-სოფელი, კუდატყე, სუქითი, ჯაგარაანთ-ქარი და ოქროს სოფელი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით ახალსოფელში;

4) გამოეყოს რუისის სასოფლო საბჭოს სოფლები: ურბნისი და წინაუბანი, და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ ურბნისში.

ბორჯომის რაიონში.

გამოეყოს გუჯარეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: მაჭარ-წყალი, ღვთის-მშობელი, წინაუბანი, გვერდისუბანი და ოდეთი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მაჭარ-წყალში.

ასპინძის რაიონში.

1) გამოეყოს ზველის სასოფლო საბჭოს სოფლები: ერკოტა და ვარნეთი, ხოლო ტოლოშის სასოფლო საბჭოს სოფელი დადეში, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ერკოტაში;

2) სოფელი ახაშენი გამოეყოს ზველის სასოფლო საბჭოს და შეუერთდეს ასპინძის სასოფლო საბჭოს.

ზესტაფონის რაიონში.

გამოეყოს ქვედა-საზანოს სასოფლო საბჭოს სოფელი, ზოერეთი, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო.

ჩხარის რაიონში.

1) გამოეყოს ალისუბანის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქვედა-ალისუბანი, ზედა-ალისუბანი 85 კმლი (ჯაბაძეების, დალუნაშვილების, რობაჭიძეების, კახიძეების და ბუკხრიკიძეების უბნები), რუფოთის 40 კმლი (მემანიშვილები და ბოჭორიშვილები), და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვედა ალის-უბანში;



2) გამოეყოს სიმონეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ძევრი, ხოლო ჩანარის სასოფლო საბჭოს სოფელი ოქონა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ძევრის სახელშოდებით, ცენტრით ძევრულას ხილთან.

ქუთაისის რაიონის.

1) გამოეყოს წყალტუბოს სასოფლო საბჭოს სოფლები: თურნალი, გვიშეტიბი, წყალტუბო და გუბისწყალი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გვიშეტიბში;

2) გამოეყოს წყალტუბოს სასოფლო საბჭოს სოფელი ქვილიშორი და 30 კომლი სოფელ ჩუნეშიდან, ცხუნჯურის სასოფლო საბჭოს—სოფელ ყუმისთავის ნაწილი 30 კომლი, ნამახვანის სასოფლო საბჭოს სოფელად მელოური, და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ ქვილიშორში;

3) გამოეყოს წყალტუბოს სასოფლო საბჭოს სოფელ წყალტუბოს ნაწილი 40 კომლი, რომელიც მდებარეობს გვიმბრისში სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, და შეუერთდეს გვიმბრის სასოფლო საბჭოს;

4) გამოეყოს პატრიკეთის სასოფლო საბჭოს სოფელი გეგუთი და გეგუთის კომუნა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გეგუთში;

5) გამოეყოს პატრიკეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ტყაჩირი, და დაარსდეს ამ სოფელში ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო დაგილას;

6) გამოეყოს ჭოგნარის სასოფლო საბჭოს სოფლები: კვახვირი, ოდილაური, სარბევი და რიონის სადგური, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. კვახვირში;

7) გამოეყოს გოდოგანისში სასოფლო საბჭოს სოფლები: ნაგარევი, ჭალას-თავი და ბროლიქეთი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ნაგარევში;

8) გამოეყოს ტყიბულის რაიონს ღრმონორისის სასოფლო საბჭო, რომელიც მთელი თავისი მოსახლეობით, ტერიტორიით და სოფლებით შეერთებულ იქნას ქუთაისის საქალაქო საბჭოსთან.

ტყიბულის რაიონის.

გამოეყოს გურნის სასოფლო საბჭოს სოფლები: სოჩხეთი და წყნორი, და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სოჩხეთში.

ხონის რაიონის.

გამოეყოს ნახანულევის სასოფლო საბჭოს სოფლები: კონტუათი და წითელი ვარსკევლავი და ქალაქ ხნის მე-IV უბანს—130 კომლი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით შუა აღგილას, კონტუათის სასოფლო საბჭოს სახელშოდებით.

განის რაიონში.

1) გამოეყოს შუამთის სასოფლო საბჭოს სოფლები: კუვიში, ჭავან-კუშური და მთისძირ-კუშური, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მთისძირ-კუშურში;

2) გამოეყოს ფერეთას სასოფლო საბჭოს სოფლები: ბობოთი, ბაგინეთი და ზედა-ფერეთას ნაწილი 140 კმ²-ი, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზედა-ფერეთაში;

3) გამოეყოს ბზენის სასოფლო საბჭოს სოფელი ზედა-ბზენი და ამაღლების სასოფლო საბჭოს სოფელი ამაღლების ნაწილი 45 კმ²-ი, და უარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზედა-ბზენში.

ენუქიძის რაიონში.

გამოეყოს სხევის სასოფლო საბჭოს სოფელი ფუტიეთი, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო.

ცაგერის რაიონში.

1) გაუქმდეს მახაშის სასოფლო საბჭო, და ამ საბჭოში შემავალი სოფელი მახაში შეუერთდეს დენდირის სასოფლო საბჭოს;

2) გამოეყოს ცაგერის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩხუტელი და დეხვირის სასოფლო საბჭოს სოფელი ლასხანა, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ჩხუტელში.

მარტვილის რაიონში.

გამოეყოს დიდი კუონის სასოფლო საბჭოს სოფლები: ტალური, ეწერი და ოქე, ხლოლ სალჩინოს, სასოფლო საბჭოს სოფელი ნობულევი, და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ ტალერში.

ქვემ-სკუნეთის რაიონში.

1) გამოეყოს ლაშეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: ჩინარეში, შქედი, ხაცული, მარგვიში, ლობი, მელე და მახაში, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ჩიხარეშიში;

2) გამოეყოს ლაშეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: სასაში, ლუჯი და ჭველი, და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ სასაში;

3) ლაშეთის სასოფლო საბჭოს ეწოდეს ჯახუნდერის სასოფლო საბჭო.

სრ საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მაგ. თ. ულენტი.

1935 წ. თებერვლის 20.

ტურისი.

მიწა, ტევ, ფუალი. სოფლის მეურნეობა

46. დაღგენილება ს.კ.ს.

„1935 წელს რამის კონტრაქტაციის გეგმის და რამის პლანტაციების და ხანერგების გაშენების ღონისძიებათა შესახებ კოლმეურნეობებში.

თანახმად აქცესრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 3-ის დაღგენილებისა 1935 წ. რამის კონტრაქტაციის გეგმისა და რამის პლანტაციების და სანერგების გაშენების ღონისძიებათა შესახებ კოლმეურნეობებში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა. 1935 წელში გასაშენებელი რამის პლანტაციების გონიტრაცია.

1. ღონტრაქტულ იქნას 1935 წლის რამის საგაზაფხულო ნარგავების კონტრაქტაციის გეგმა 313 ჰექტარის რაოდენობით (მთლიანად საკოლმეურნეო სექტორში) რამის ნედლი ღეროების დაკონტრაქტებულ პლანტაციებიდან მთელი მოსავლის (მწვანე, ახლად მოკრილის) ჩაბარებით, მხოლოდ არა ნაკლებ:

5 ტონისა—დარგვის მეორე წელს (1936 წელში) ერთ ჰექტარიდან

10 " დარგვის მესამე წელს (1937 წელში) "

20 " დარგვის მეოთხე და შემდეგ წლებში (1938 და შემდეგ წლებში).

2. რამის საგაზაფხულო ნარგავების გეგმა რაიონებს შორის განაწილებულ იქნას შემდეგნაირად:

1) აფხაზეთი (გალის რ.)	30 ჰექტ.
2) ზუგდიდის რაიონი	15 "
3) ხობის	40 "
4) სენაკის	59 "
5) აბაშის	65 "
6) სამტრედიის	25 "
7) ხონის	20 "
8) ვანის	26 "
9) ქუთაისის	33 "

სულ 313 ჰექტ.

3. რამის ნარგავების კონტრაქტაციის ჩატარება, გრძელვადიანი ფულადი ავანსების გაცემა, სარგავი მასალის დარიგება, რამის აგროწესებრს შესრულების კონტროლი და რამის ღეროების დამზადება-გადამუშავება დაკისროს საკავშირო ტრესტს „საქ. რამს“, რომელიც ამ სამუშაოს ატარებს სარაიონო კონტროლების მეშვეობით.

წინადადება მიეცეს „საქ. რამს“ დაუყოვნებლივ შეუდგეს ყველა რაიონში სარაიონო კონტროლების დაარსებას.

4. ହାମିଳ
୧/୯. ୨୦ ମାର୍ଚ୍ଚି.

5. დაევალოს საკაგშირო ტრესტს „საქ. რამს“ უზრუნველყოს რამის კონტ-
რაქტანტებისათვის თავის ღროშე უფასო ვარგისი სანერვე მასალის მიწოდება.

6. სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1935 წლის იანვრის 27-ის
და 74 №-ის და ა/ქსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 3-ის
№ 68 დადგენილებათა შესაბამისად, დაწესდეს 1935 წლის გაზაფხულის ნა-
რგავზე, საკონტრაქტაციო ფულადი ავანსი თვითეულ დაკონტრაქტებულ პეტრა-
ზე შემდეგი რაოდენობით:

დარგვის პირველ წელიწადს — 2500 მანეთი

မြေကြော — 1500

մինամյուն 500

სულ 4500 მანეთი

გაცემული ავანსები, კონტრაქტანტების მიერ დაიფაროს მეოთხე წლიდან,
სამი წლის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად.

7. օգանսկի ջայրակ Շղմբուշ Հալդե՛մ:

ა) დარგების პირველ წელიწადს ერთ ჰექტარზე:

600 მანეთი—მარტში—საკონტრაქტაციო ხელშექრულების ხელის მოწერის ღრმას,
მათ შორის: 200 მანეთი—მრწის მოსამზადებლად და წყალგამტარ

ლური სასუების გათხოვიდღლად და 200 თასეთი ლარის მიღება,
500 მანეთი—მაისში—ლობის გაკეთებისა და პლანტაციის დარგვის შემოწმების
შემდგა:

600 მანეთი—ივნისში—მეორე გათოხნის შემდეგ; მათ შორის 200 მანეთი—პირ-
ვლი გათოხნისათვის, 200 მანეთი—მეორე გათოხნისათვის, 100 მა-
ნეთი—მინერალური სასუქის შეტანისათვის და 100 მანეთი—პლან-
ტაცია; რეზონაციათვის შემთხვევაში პლანტაცია;

800 მანეთი—ოქტომბერში—მეოთხე გათოხნის შემდეგ; მათ შორის: 200 მანეთი—მესამე გათოხვნისათვის, 200 მანეთი—შეოთხე გათოხვნისათვის და 400 მანეთი—ზამთრის პერიოდში პლანტაციების მოვლისათვის, წყალგამრთარი და საწრეტი თხრილების ამოწმენდისათვის და ლობეების შეკრიუბისათვის.

სულ 2.500 მანეთი.

ბ) ლარგვის მეორე წელიწადს:

500 მანეთი—მარტში—პლანტაციის მდგომარეობის, თხრილების და ღობეების შემოწმების შემდეგ, მათ შორის: 400 მანეთი—წყალგამტარი და საწრეტი თხრილების ამოწმენდისათვის და ღობეების შეკეთებისათვის და 100 მანეთი—მინირაოზრი სასუქის გამოსასყიდათ;

600 მანეთი—მაისში—მეორე გათოხნის შემდეგ; მათ შორის: 200 მანეთი—პირველი გათოხნისათვის; 200 მანეთი—მეორე გათოხნისათვის, 100

მანეთი—პლანტაციის ომონტისათვის ზაფხულის პერიოდში და 100 მანეთი—მინერალური სასუქის შეტანისათვის;

400 მანეთი—ოქტომბერში—მეოთხე გათოხვის შემდეგ; მათ შორის: 100 მანეთი—მესამე გათოხვისათვის, 100 მანეთი—მეოთხე გათოხვისათვის და 200 მანეთი—ჩამორის პერიოდში პლანტაციის მოვლისათვის; სულ 1500 მანეთი.

გ) დარგვის მესამე წლიწადს:

300 მანეთი—მარტში—პლანტაციის მდგომარეობის, თხრილების და ლობების შემნების შემდეგ, მათ შორის: 200 მანეთი—წყალ-გამტარ და საწრეტი თხრილების ამოწმენდისათვის და ლობების შეკეთებისათვის და 100 მანეთი—მინერალური სასუქის გამოსასყიდად;

200 მანეთი—აპრილში—მათ შორის: 100 მანეთი მინერალური სასუქის შესატანად და 100 მანეთი—პირველი გათოხვისათვის.

სულ 500 მანეთი.

შენიშვნა. ამა დადგენილების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ავანსების გაცემა უნდა სწარმოებდეს შესრულებული სამუშაოების მიხედვით, სამანქანო-სატრაქტორო სადგური (ან მიწანის) და „საქ. რამის“ სარაიონო კონტროლის მიერ დაცუმული ცნობების საფუძველზე.

8. 1935 წლის რამის ნარგავის (313 ჰექტარის) კონტრაქტაციის საერთო საკრედიტო თანხა განისაზღვროს 782.500 მანეთით, შემდეგ ვალებზე გადმით:

პირველ კვარტალში	—600	მანეთი ერთ ჰექტარზე	სულ 187.800	მან.
მეორე	—500	"	სულ 156.500	"
მესამე	—600	"	სულ 187.800	"
მეოთხე	—800	"	სულ 250.400	"
				სულ 782.500 "

ბ) 1934 და წინა წლებში გაშენებული რამის 3 ლანტა-დიების კონტრაქტაცია.

9. 1934 და წინა წლებში გაშენებული გამეჩერებული პლანტაციების რემონტის აუცილებლობის გამო, წინადადება მიეცეს საკავშირო ტრესტს „საქ. რამს“ გადააფიქროს რამის კონტრაქტანტებთან გასულ წლებში დადგებული ხელშეკრულებები 208.6 ჰექტარ ფართობზე, რაც მიღებულ იქნება პლანტაციების შეჯამების (რემონტის) შემდეგ.

10. წინა წლებში გაშენებულ რამის პლანტაციებზე დ ავანსის გაცემა უნდა სწარმოებდეს სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის სამსახურის 1935 წლის იანვრის 27-ის და ა/ქსფსრ-ის სახალხო კომისარათა საბჭოს 1935 წლ. მარტის 3-ის და 68 №-ი დადგენილებათა მიხედვით, სახელდობრ: ორწლიან პლანტაციებზე (1934 წ.) 1500 მანეთი, სამწლიან პლანტაციებზე (1933 წ. და 1932 წ. გასარემონტებელ პლანტაციების ნაწილი)—500 მანეთი ჰექტარზე. ამასთანავე ეს ავანსები და აგრეთვე წინა წლებში გაცუმული ავანსები კონტრაქტანტების მიერ

დაფარულ იქნეს 1937 წლიდან, სამი წლის განვითარებაში თანამდებობაში ლებად.

11. 1934 წ. და წინა წლებში გაშენებულ რამის პლანტაციების კონტრაქტაციის საერთო საკრედიტო თანხა განისაზღვროს 155,750 მანეთით, შემდეგ ვალიური გაცემით:

ა) ორწლიან პლანტაციებზე — (1934 წ.) — (5^c, 7 ჰექტ.):

პირველ კვარტალში	500	მანეთი	ერთ ჰექტარზე	სულ	28.350 გ.
------------------	-----	--------	--------------	-----	-----------

მეორე კვარტალში	600	მანეთი	"	სულ	34.020 გ.
-----------------	-----	--------	---	-----	-----------

მეოთხე კვარტალში	400	მანეთი	"	სულ	22.680 გ.
------------------	-----	--------	---	-----	-----------

			სულ	85.050 გ.
--	--	--	-----	-----------

ბ) სამწლიან პლანტაციებზე (1933 წლის პლანტაციები და 1932 წ. პლანტაციების გასარემონტებელ ნაწილი) — (141,4 ჰექტ.)

პირველ კვარტალში	300	მანეთი	ერთ ჰექტარზე	სულ	42.420 გან.
------------------	-----	--------	--------------	-----	-------------

მეორე კვარტალში	200	მანეთი	"	სულ	28.280 "
-----------------	-----	--------	---	-----	----------

			სულ	70.700 "
--	--	--	-----	----------

შენიშვნა. 1932 წლის პლანტაციებზე (10,5 ჰექ.), რომლებიც არ საჭიროებენ რემონტს, ავანსების გაცემა არ სჭარმოებს.

გ) რამის სანერგების კონტრაქტაცია.

12. მომავალ წელში პლანტაციების გასაშენებლად, სარგავი მასალით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესდეს რამის სანერგების კონტრაქტაციის გეგმა საკოლმეურნეო სექტორში 1935 წელს 15 ჰექტარის რაოდენობით, იმ ანგარიშით, რომ 1936 წლის გაზაფხულზე დამზადდეს 15 მილიონი ცალი ნერგი. სანერგების გეგმა რაიონებს ჰორის განაწილდეს შემდეგნაირად:

1) აფხაზეთი (გალის რ.) 2 ჰექტარი

2) ხობის რაიონი 1 "

3) სენაკის 3,5 "

4) აბაშის 4,5 "

5) სამტრედიის 1 "

6) ხონის 1 "

7) განის 1 "

8) ქუთაისის 1 "

სულ . . .	15 ჰექტარი
-----------	------------

13. ვინაიდან 1936 წლის გაზაფხულზე თვითეულ ჰექტარიდან ერთი მილიონი დასარგავად ვარგისის ნერგის მისაღებად დაჩითილებულ უნდა იქნას ორი მილიონი ცალი თვითეულ ჰექტარზე, დაწესდეს რამის სანერგებისათვის დაავანსების შემდეგი ნორმები:

- 1 მანეთი თვითოულ 1.000 ცალ დაქონტრაქტებულ ნერგზე—1935 წ. მარტში—
ნიადაგის მოსამზადებლად და დასათესად.

6 მანეთი თვითოულ 1.000 ცალ დაქონტრაქტებულ ნერგზე (ე. ი. ყოველ 2.000
ცალ დაჩითილებულ ნერგზე)—მაისში-ივლისში.

3 მანეთი თვითოულ 1.000 ცალ დაქონტრაქტებულ ნერგზე (ე. ი. ყოველ 1350
ცალ მიმართულ და ზამთრის პერიოდში შესანახ ნერგზე)—ოქტომ-
ბერში.

14. სანერგების კონტრაქტით ის საერთო საკრედიტო თანხა 1935 წელში განისაზღვროს 150.000 მანეთით, რაც გაიცეს შემდეგ ვადებში:

პირველ	ქვარტალში	— 15.000	მანეთი
მეორე	"	— 30.000	"
მესამე	"	— 60.000	"
მეოთხე	"	— 45.000	"
სულ . . .		150.000	"

„ 15. სანერგებბზე გაცემული ქრედიტების დაფარვა მოხდეს 1936 წელში „საქ. რამის“ ტრესტზე ჩატარებული ნერგის საფასურიდან.

8. კონტრაქტის დის საერთო პირობები.

16. ყველა სახის პლანტაციებისათვის და სანერგებისათვის საერთო ფულადი დაავანების თანხა 1935 წელში განისაზღვროს 1.088.250 მანეთით, შემდეგ ვაღებში გაცემით:

პირველი კვარტალი	--273.500	მანეთი
მეორე	--248.800	"
მესამე	--247.800	"
მეოთხე	--318.080	"
სულ	1.088.250	მანეთი

17. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორის უზრუნველყოს ფულადი ავანსების ღრმულად გაცემა იმ რაოდენობით და ვა-დებში, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილებით.

18. სსრ კავშირის შრომისა და თავდაცეის საბჭოს 1935 წლის იანვრის 27-ის და 74 №-ის და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისარითა საბჭოს 1935 წლის მარტის 3-ის და 68 №-ის დადგენილებათა მიხედვით, დაწესდეს თვითოულ ტონა რამის მუვნე (ახლად მოქრიოლ) ლეროებზე დასამზადებელი ფასი 190 მანეთი და 800 მანეთი—გამხმარ ლეროებზე, იმ ვარაუდით, რომ ამ უკანასკნელის ჩაბარების რაოდენობა არ აღემატებოდეს რამის საერთო დამზადების გეგმის 20%-ს.

19. დაწესდეს კოლმეურნეობის მიერ ჩაბარებულ, დასარგავად სრულიად ვარგის ნერგზე, დასამზადებელი ფასი უკველ ერთ ცალზე 1,5 კაპიკი.

20. აგრო-მომსახურეობა და აგრო-ლონისძიებათა ჩატარება ყველა კომისარით მუშაობის მიზანი და სანერგეზე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სამოქმედო რაიონ-ნებში დაეკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, დანარჩენ რაიონებში კი— სარაიონო მიწათმოქმედების განყოფილებებს.

აგრო-მეთვალყურეობა და კონტროლი პლანტაციებში და სანერგებში მუშაობების სისწორით ჩატარებისათვის და კონტრაქტანტების მიერ აგრო-წე-სების დაცვისათვის დაეკისროს საკავშირო ტრესტს „საქ. რამს“.

21. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყოს რამის დაკონტრაქტებულ პლანტაციებზე და სანერგებზე ყველა სეზონური სამუშაოს (დარგვა, რემონტი და პლანტაციების მოვლა ზაფხულის და ზამთრის პერიოდში) თავის დროზე ჩატარება აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებზე, რისთვისაც დაავალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და სარაიონო მიწათმოქმედების განყოფილებებს წარმოუდგინონ მას ყოველთვიური საან-გარიშო ცნობები საწარმოო სამუშაოების შესახებ.

22. წინადადება მიეცეს საკავშირო ტრესტს „საქ. რამს“ ყოველ სუთ დღე-ში წარუდგინოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ-ში ცნობები რამის კონტრაქტაციის მსელელობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ჭავთარაძე.

1935 წ. მარტის 9. № 315.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გამ. „კომუნისტის“ 60 პ-ში 1935 წ. მარტის 11.

ვაჭრობა. მომარაგება.

47. დადგვინდუშა ს.კ.ს

საქართველოს სსრ-ში გაჭრობის მთლიანი აღწერის ჩატარების შესახებ.

„1935 წ. სავაჭრო აღწერის ჩატარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავში-რის 1934 წლის ნოემბრის 1-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღეცეს:

1. დაცვალოს საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღწერის სამსართველოს ჩატაროს მთლიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სავაჭრო საწარმოებისა და მათთვის კალენდარის მთლიანი აღწერა.

2. აღწერამ უნდა გარემოიცვას ყველა სახელმწიფო ბრივი, კომპერატი-ული, საზოგადოებრივი და კერძო საბითუმო და საცალო სავაჭრო საწარმოები და ორგანიზაციები.

3. დაევალოს ყველა სარესპუბლიკო და სარაიონო საფაქტო თრგანიზაციას ჩაატაროს აღწერისათვის მისამზადებელი მუშაობა თანახმად საქართველოს სახალხო-სამეურნეო ილიკების სამართველოს ინსტრუქციისა და პროგრამისა, ისეთი ვარაუდით, რომ ა.წ. აპრილის 15-ისათვის უკვე მზად იყოს 1935 წ. 1-ლი კვარტალის ანგარიშები დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

4. დაევალოს ყველა საფაქტო თრგანიზაციას დაუგზავნოს მის ქვემდებარე თრგანიზაციებს და თავის ქსელს სათანაზო ცირკულარული განკარგულებანი და დაუბრკულებლად მიაწოდოს საქართველოს სახალხო სამეურნეო აღრიცხვის თრგანოებს აღწერისათვის საჭირო ყველა ცნობა.

5. აღწერის ფორმულარების „შევსება ვეალება საწარმოთა ხელმძღვანელებს (მაღაზიების დირექტორებს და სხვ.) ან მთ მიერ ამ მიზნისათვის გამოყოფილ სხეციალურ პირს.

6. მოელი პასუხისმგებლობა აღწერის ფორმულარების სწორედ შედგენისათვის და ვადაზე წარმოდგენისათვის ეკისრება თრგანიზაციების დირექტორებს, კონტროლების, საგამსაღებლო ბაზებისა და მაღაზიების გამგებებს.

7. ყველა საფაქტო თრგანიზაცია ვალდებულია საქართველოს სახალხო-სამეურნეო ილიკების სამართველოს მოთხოვნისთანავე ვადასცეს ამ უკანასკნელის განკარგულებაში აღწერის მოელი დროის განმავლობაში აღწერისათვის აუცილებელი კადრები, სამუშაო ხელფასის შენახვით.

8. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს ყოველმხრივი დამხმარება აღმოუჩნდნ საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღწერის თრგანოებს აღწერის ჩატარების საქმეში, კერძოდ, დაუბრკოლებლად მისცე აღწერია მომუშავებებს მიმოსვლის საშუალებანი.

9. წინადადება მიეცეს ავტონომიური ორგანიზაციებისა და ავტონომიური ოლქები ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, და საქალაქო საბჭოებს იხმარონ ლონისძიებანი ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქ. სსრ ს.ქ.-ოს თავმჯდომარის შოთა გ. ბ. მდიდარი.

საქ. სსრ ს.ქ.-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. მარტის 8. № 310.

ტფილისი.

48. დადგენილება

კოლმეურნეობათა, კოლმეურნეობა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობა-თათვის თავმჯდომარის თავისუფალი გაუდიდების ნებართვის მიცემის შესახებ.

„1934 წელს თამაზების და წევების წარესის ფართობებისა და ამ კულტურულების საფალებელ სახელმწიფო მრავი კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისაროთ საბჭოს 1934 წ. იანვრის 25-ის

დადგენილების (სსრ. კან. კრ. 1934 წ. № 7, მუხ. 50) მე-7 მუხლის შესაბამის მუხლის და „საქართველოსა და სომხეთში თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფ-ლო-სამეურნეო პროდუქტების დამხადებათა კომიტეტის 1935 წ. თებერვლის 20.-ის დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდენს:

1. საქართველოში თამბაქოს ნედლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულების გამო, ნება დაერთოს საქართველოს (ჟაფხაზეოთი) კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და შშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომელთაც შეისრულეს თამბაქოს ჩაბარების საკონტრაქტაციო ვალდებულებანი, თავისულად გაყიდონ ზედმეტი თამბაქო, როგორც ფოთლოვანი, რა დაჭრილი სახით, ყველა აღილობრივ ბაზარზე, რეინის გზის სადგურზე და ნავთსადგურზე, უკეთ თამბაქოს მიტანა გაყიდვის აღვილთან დაკავშირებული არ არის რეინის გზით ან წყალსავალი გზით გადაზიდვისთან.

2. კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და შშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებს შეეძლიათ გაყიდონ თამბაქო ოღნიშნულ აღგილებზე მხოლოდ მაშინ, უკეთ მათ საკონტრაქტაციო წიგნავებში „სოიუზტაბაძესირიოს“ საქართველოს კონტროლის მიერ აღნიშნული იქნება, რომ მათ შესრულებული აქვთ საკონტრაქტაციო ვალდებულება.

საქ. ს.ს.რ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. ს.ს.რ. ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. მარტის 3. № 264.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტი“ 54 წ-ი, 1935 წ. მარტის 4.

49. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წელს სახელმწიფოსათვის გატულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„1935 წელს სახელმწიფოსათვის მატულის სავალდებულო ჩაბარების“ თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. თებერვლის 23 ისა და ა/ქსტრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 7-ის დადგენილების („იზევსტია“ 1935 წ. თებერვლის 24-ისა, № 49 „ზარია კოსტოკა“ 1935 წ. მარტის 9-ისა, № 57) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდენს:

1. დაწესებულ იქნა 1935 წლისათვის ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ცხერისა და თხის შესის მატულის (საგაზაფხულო და საშემოღვევო მატყულზე განუყოფლად) სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარების ქვემომდევნო საშუალო ნორმები აფხაზეთის ავტონო-



მიური სსრ-ისა, აქარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის კულტურული მიური ოლქისათვის და მტკიცე ნორშები—საქართველოს სსრ დანარჩენი რაიონები—სათვის, დადგენილ სახელმწიფო ბრივი ფასების კვალობაზე (გრამობით თვითეულ სულ საქონელზე):

რაიონები	ცხვრის მატყლი	თხის მატყლი	რაიონები	ცხვრის ნატყლი	თხის მატყლი
1. ტფილისის	1350	250	16. ბაშკირიას	1350	250
2. დუშტის	1250	—	17. გასპას	1150	250
3. ყაზბეგის	1300	—	18. გორის	1150	250
4. თიანეთის	1200	250	19. სტალინისის	1150	250
5. თელავის	1300	250	20. ბორჯომის	1150	250
6. გურჯაანის	1350	250	21. ახალციხის	650	250
7. ყვარლის	1250	250	22. ადგიგინის	600	250
8. ლაგოდეხის	1150	250	23. ასპინძის	600	250
9. სიღნაღის	1350	250	24. ახალქალაქის	1000	250
10. საგარეჯოს	1350	250	25. ბოგდანოვკის	1000	250
11. ალულაბ-მანგლისის .	1150	250	26. ჭალენჯიბის	750	—
12. ჭალკის	1200	250	27. აფხაზეთის ასსრ . . .	850	—
13. ყარაიას	1400	250	28. აკარისტანის ასსრ . .	650	—
14. ბორჩალის	1400	250	28. სამხ.-ოსეთის ავტ.ოლქი	1200	250
15. ლუქეშმბურგის	1200	250			

2. დაწესებულ იქნას 1935 წლისათვის მთელი საქართველოს სსრ-ში ერთ- პიროვნულ მეურნეობათა მიერ წმინდა ოცდათერთმეტ პროცენტ გამოსავლიანი მატყლის ჩამარების ნორმა (თვითეულ სულ საქონელზე) 3.800 გრამის რაოდენობით.

3. დაწესებულ იქნას 1935 წლისათვის ყველა საკოლმეურნეო კომლების მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების ნორმები 10% -ით ნაკლები ერთპიროვნეულ საგლეხო მეურნეობათათვის დაწესებულ ნორმებზე (ამა დადგენილების 1-ლი მუხლი).

4. მოეცეს იმ კოლმეურნეობათა წევრებს, რომელთაც აქვთ მესაქონლეობის სასაქონლო ფერმები, 1935 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებაში შეღავათ კოლმეურნეობათვის დაწესებული ნორმების მონაკლების სახით, ფერმების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებელი მატყლის 20% -ის რაოდენობით, ამ მონაკლების ჩათვლით კოლმეურნეობა პირადი გალდებულებების შესრულებაში.

5. დაწესებულ იქნას მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისათვის და კოლმეურნეობათა განსაზღვადოებული ფარისათვის სახელმწიფოსათვის ცხვრის მეისე მატყლის (გაზაფხულისა და შემოდგომის ერთად), ბატქნისა და თხის მატყლის

სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარების შემდეგი ნორმები (გრაშოთა გაცალების შემდეგი ნორმები):

რაიონები	ცხვარი		თხის	რაიონები	ცხვარი		თხის
1. ტფილისის	1600	50	400	14. ლუქსემბურგის .	1600	50	400
2. დუშეთის	1650	50	—	15. ბაშკირეთის . .	1700	50	400
3. ყაზბეგის	1650	50	—	16. კასპის	1350	50	400
4. თიანეთის	1450	50	400	17. გორის	1350	50	400
5. თელავის	1550	50	400	18. სტალინისის . .	1350	50	400
6. გურჯაანის	1600	50	400	19. ბორჯომის . . .	1400	50	400
7. ყვარლის	1500	50	400	20. ახალციხის . . .	750	50	400
8. სოლიანის	1600	50	400	21. ასპინძის	650	50	400
9. საგარეჯოს	1600	50	400	22. ახალქალაქის .	1250	50	400
10. აბდულახ-განგლისის	1550	50	400	23. ბოგდანოვკის .	1300	50	400
11. წალკის	1550	50	400	24. წალენჯიხის . .	1000	50	400
12. ყარაიას	1700	50	400	25. სამხრეთ-ოსეთის .			
13. ბორჩალოს	1700	50	400	ავტ. ოლქი . .	1400	50	400

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შექმავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საშუალო ნორმების საფუძველზე განსაზღვრონ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების სხვადასხვავარი (დიფერენცირებული) ნორმები ცალკეული რაიონებისათვის; ამასთანავე დაცულ უნდა იქნას ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საშუალო ნორმები და უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების შესრულება. ეს ნორმები გამოქვეყნებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 1935 წლის მარტის 15-ისა.

7. დაწესებულ იქნას 1935 წლისათვის მთელ საქართველოს სსრ-ში მეცხვარეობის სასაქანლო ფერმებისა და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული საქონლისათვის შემოვეგი ნორმები (გრამობით თითოეულ სულ საქონელზე): წმინდა მატყლის—4.200 გრ, ნახევრად მქისე გაზაფხულისა და შემოდგომის მატყლის—1.600 გრ. და ნახევრად მქისე ბარჟინის მატყლის—50 გრ.

8. განთავისუფლებულ იქნას საქართველოს სსრ კოლმეურნეობანი მეტიაციისათვის შემოყვანილი წმინდამატყლოვანი მამალი ცხერის მატყლის ჩაბარებისაგან.

9. გაზაფხულის და შემოდგომის ცხვრის მატყლისა და თხის მატყლის ჩაბარების რაოდენობა როგორც საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული საქონლისათვის, ისე საკოლმეურნეო კომლე-



ბისა და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობათათვის განისაზღვრება ამ მეურნეობაში
ობებში 1935 წლის იანვრის 1-ისათვის არსებული 6 თვეზე მეტი ხნის ცხვრებისა
და 1934 წლის თხებისა და ციქნების რაოდენობის მიხედვით.

ბატქნის მატყლის ჩაბარების რაოდენობა საკოლეჯურნეო სასაქონლო ფერ-
მებისა და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ფარისათვის განსაზღვრება:

მქისე მატყლის რაოდენობა—1935 წლის იანვრის 1-ისათვის არსებული და-
საბეგრი მქისემატყლოვანი ცხვრების რაოდენობით, მერინოსით დაგრილებული
დედაცხვრების გამოყენებით;

ნახევრად მქისე მატყლის რაოდენობა—შერინოსებით დაგრილებული დე-
და-ცხვრების რაოდენობით.

ვალდებულებანი ყველა სახის მატყლის ჩაბარების შესახებ მიცემულ უნ-
და იქნას ერთსა და იმავე დროს.

10. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო სა-
ბჭებს ჩაბარონ თვითეულ კოლმეურნეობას, რომელსაც ჰყავს ცხვრისა და თხის
განსაზოგადოებული ფარი, როგორც ფერმიდ გაფორმებული, ისე გაუფორმებე-
ლი, თვითეულ საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ მეურნეობას ცხვრისა,
ბატქნისა და თხის მატყლის ჩაბარების ვალდებულებანი: ფ ერმებსა და კოლმეურ-
ნეობებს—არა უგვიანეს 1935 წ. მარტის 25 ისა და სხვა მეურნეობებს—არა უგ-
ვიანეს 1935 წ. აპრილის 1-ისა.

11. წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელი
კომიტეტების პასუხისმგებლობით, ხოლო ივტონომიურ რესპუბლიკებსა და ივტო-
ნომიურ ოლქში—ავტონომიური რესპუბლიკებისა და ივტონომიური ოლქის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით, აწარმონონ რო-
გორც ვალდებულებათ ჩაბარების, ისე ყველა საკოლმეურნეო კომლისა და ერთ-
პიროვნეული მეურნეობის მიერ ამ ვალდებულებათა შესრულების ზუსტი აღ-
რიცხვა.

12. იმ კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს დაწერთპიროვნულ მეურ-
ნეობებს, რომელიც არ შესარულებენ კანონით დაწესებულ ვალაზე სახელ-
მწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებას, გადახდებათ ფულადი ჯარიმა
ვალდებულების შესრულებელი ნაწილის საბაზრო ლირებულების რაოდენობით,
ამასთანავე ჩასაბარებელი მატყლი მათ ჩამოერთმევათ უდავო წესით.

13. საქონლის ნამდვილი რაოდენობის დამალვისათვის კოლმეურნეობათა
გამგეობის თავმჯდომარები, კოლმეურნეობათა მესაქონლეობის სასაქონლო ფერ-
მების გამგეები, კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი მიცემულ იქნე-
ბიან პასუხისმგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63 მუხ-
ლის მიხედვით.

14. კატეგორიულად აკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს
და იგრეოვე დამზადებელ ორგანოებს კოლმეურნეობებისათვის, საკოლმეურნეო
კომლებისათვის და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის სახელმწიფოსათვის მა-
ტყლის ჩაბარების ვალდებულებების დაკისრება ისეთი რაოდენობით, რაც ალე-

მატება ამა დადგენილების და მის განსავითარებლად აკტორობიური რესპუბლიკებისა და აკტონობიური ოლქების მიერ გამოცემული დადგენილებებით დაწესეს სებულ მატყლის ჩაბარების სარაიონო ნორმებს, ამასთანავე უზრუნველყონ იმ პირებისათვის, რომელნიც თავის დროშე შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებებს, მათი ზედმეტი პროდუქციის სურეილისაბებრ განკარგულების სრული შესაძლებლობა.

გაფრთხილებულ იქნას ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია, რომ ის პირები, რომელნიც დამნებავენი იქნებიან შემხვედრი გეგმების მიცემაში, პასუხს ავებენ სისხლის სამართლის წესით.

15. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, აცნობოს რაიონებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ დაწესებული კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლია და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულების შესრულების საკალენდრო ვადები.

16. მატყლის მიღება, ამა დადგენილების წესით, დაევალოს „სოიუზხაგოტ-შერსტის“ საქართველოს კონტრარის და, ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სამომხმარებლო კოოპერაციას.

17. კონტროლისა და ზედამხედველობის გაწევა ამა დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის დაეკისროს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მიგალობლიუმილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ჭავთარაძე.

1935 წ. მარტის 11. № 316.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გამ. „კომისტის“ 61 №-ში 1935 წ. მარტის 12.

ფასი 20 კაპ.

გამოქვეყნებული	საქ. სსრ ს. კ. ს-ოს 1935 წ. № 117. პ/მ. რედაქტორი ვ. ჩამჩევლი საქმ. მმართველობა
ჭადალის ფორმატი	62X94 სანტ.; 1 ¹ / ₈ ბეჭდვ. ფურც.; 1 ¹ / ₈ ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტან. ნიშანი.
გადაღების სტანდარტი	1.800
გადაღება სტანდარტი	1.800